დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 30 მაისის N2 სხდომაზე

სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ საგარეო ურთიერთობების სამსახურის

დებულება

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ (შემდგომში – უნივერსიტეტი) საგარეო ურთიერთობების სამსახური (შემდგომში – სამსახური), როგორც უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული, მოქმედებს უნივერსიტეტის მისიის აღსრულების ფარგლებში, რაც ითვალისწინებს, გახდეს მსოფლიო დონის კვლევითი უნივერსიტეტი, რომელიც სტუდენტებს მისცემს ღირებულ ცოდნას, შეუქმნის აღიარებულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ სასწავლო გარემოს, ხელს შეუწყობს კრიტიკული, ანალიტიკური, ეთიკური, შემოქმედებითი უნარების განვითარებას სტუდენტებში და შექმნის ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებას, რომელიც მზად იქნება, ღირსეულად უპასუხოს 21-ე საუკუნის გამოწვევებს. სამსახურის უფლებამოსილებანი, ფუნქციები, ვალდებულებები და მართვის ორგანიზაცია განისაზღვრება ამ დებულებით.

2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“, უნივერსიტეტის წესდებით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, ამ დებულებით, შინაგანაწესით და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით.

3. სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის და რექტორის მოადგილის წინაშე.

4. სამსახური უშუალოდ ექვემდებარება და მის საქმიანობას კოორდინაციას და ზედამხედველობას უწევს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე.

თავი II. სამსახურის მიზნები, ფუნქციები და უფლებამოსილება

მუხლი 2. სამსახურის მიზნები სამსახურის მიზნებია:

1. ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა საერთაშორისო სამეცნიერო და საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის როლის გაძლიერების გზით;

2. სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტთან ბილატერალური თანამშრომლობის ხელშეწყობა;

3. პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გაცვლით პროექტებში მონაწილეობის გაზრდა;

4. საერთაშორისო დონეზე უნივერსიტეტის ავტორიტეტის ამაღლება და საერთაშორისო ქსელებში უნივერსიტეტის როლის გაძლიერება;

5. უნივერსიტეტის მიმზიდველობის გაზრდა და უნივერსიტეტის ფაკულტეტებთან, სკოლებსა და ადმინისტრაციულ ერთეულებთან მჭიდრო თანამშრომლობა უცხოელი სტუდენტების მოსაზიდად;

6. უნივერსიტეტში მულტიკულტურული და მრავალფეროვანი გარემოს შექმნა.

7. ტრადიციული და არატრადიციული დაფინანსების წყაროების მოძიება და მოზიდვა.

მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები

სამსახურის საქმიანობა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

1. უნივერსიტეტის პროგრამების ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა;

2. საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებთან კავშირების ჩამოყალიბება და განვითარება;

3. უნივერსიტეტსა და საერთაშორისო პარტნიორებს შორის ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეწყობა;

4. უნივერსიტეტის მრავალმხრივი საერთაშორისო შეხვედრების კოორდინირება;

5. სტუდენტების, მკვლევრების, ადმინისტრაციული თანამშრომლებისა და პროფესორების ჩართვა საერთაშორისო მობილობის/გაცვლით პროექტებში;

6. ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტებისა და თანამშრომლების დახმარება გაცვლითი კონკურსების პერიოდში და შემდგომ ეტაპებზე;

7. საზღვარგარეთის უმაღლესი სასწავლებელების სამეცნიერო დაწესებულებების დელეგაციების მიღება;

8. უცხოელი სტუდენტების მოზიდვის აქტივობების კოორდინირება;

9. ფინანსების მოზიდვის სტრატეგიის შემუშავება.

მუხლი 4. სამსახურის უფლებამოსილება

დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებისას სამსახური უფლებამოსილია:

1. თავისი კომპეტენციის ფარგლებში და უნივერსიტეტის საქმის წარმოების ერთიან წესში გაწერილ ვადებში მოამზადოს ხელშეკრულებები, მემორანდუმები, წერილის პროექტები და სხვა დოკუმენტები;

2. მოამზადოს ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ უნივერსიტეტში შემოტანილ კორესპოდენციაზე შესაბამისი პასუხი.

3. გამოითხოვოს და გასცეს თავისი კომპეტენციის ფარგლებში უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისგან საჭირო დოკუმენტაცია;

4. სამსახური სარგებლობს უნივერსიტეტის ქონებით დადგენილი წესის შესაბამისად.

თავი III. საგარეო ურთიერთობების სამსახურის სტრუქტურა და მართვა

მუხლი 5. სამსახურის სტრუქტურა

სამსახურის შემადგენლობაში შედიან:

ა) სამსახურის უფროსი
ბ) მთავარი სპეციალისტი
გ) უფროსი სპეციალისტი
დ) სპეციალისტი

მუხლი 6. სამსახურის ხელმძღვანელობა

1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან რექტორთან შეთანხმებით ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

2. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია რექტორის, რექტორის მოადგილისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე;

3. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში სამსახურის უფროსის მოვალეობას ასრულებს სამსახურის თანამშრომელი რექტორთან შეთანხმებით, რაზეც გამოიცემა შესაბამისი ბრძანება.

მუხლი 7.სამსახურის უფროსის ფუნქციები

სამსახურის უფროსი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში:

1. ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას და პასუხისმგებელია სამსახურზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

2. კურირებს უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციის პროცესს;

3. პასუხისმგებელია საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებთან კავშირების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე;

4. პასუხისმგებელია უნივერსიტეტსა და საერთაშორისო პარტნიორებს შორის ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეწყობაზე;

5. კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის მრავალმხრივი საერთაშორისო შეხვედრების ორგანიზებას;

6. კოორდინირებას უწევს უცხოელი სტუდენტების მოზიდვის აქტივობებს;

7. ანაწილებს ფუნქციებს სამსახურის თანამშრომლებს შორის, განსაზღვრავს მათი საქმიანობის მიმართულებებს;

8. პასუხისმგებელია სამსახურის საგარეო ურთიერთობების სამსახურის კონცეფციის შექმნასა და განხორციელებაზე;

9. ასრულებს ამ დებულებით, თანამდებობრივი ინსტრუქციით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსა და დავალებებს.

მუხლი 8. სამსახურის მთავარი სპეციალისტი სამსახურის

მთავარი სპეციალისტი:

1. პასუხისმგებელია სტუდენტების, მკვლევრების, ადმინისტრაციული თანამშრომლებისა და პროფესორების საერთაშორისო მობილობის/გაცვლით პროექტებში ჩართვის კოორდინირების პროცესზე;

2. პასუხისმგებელია საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებთან კომუნიკაციაზე;

3. პასუხისმგებელია სამსახურის ვებგვერდის ადმინისტრირებაზე;

4. მონაწილეობს უნივერსიტეტის მრავალმხრივი საერთაშორისო შეხვედრების ორგანიზების პროცესში;

5. მონაწილეობს საზღვარგარეთის უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო დაწესებულებების დელეგაციების მიღების ორგანიზების პროცესში;

6. მონაწილეობს უცხოელი სტუდენტების მოზიდვის აქტივობებში;

7. ასრულებს სამსახურის უფროსის სხვა მითითებებს.

მუხლი 9. სამსახურის უფროსი სპეციალისტი

სამსახურის უფროსი სპეციალისტი:

1. პასუხისმგებელია ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტებისა და თანამშრომლების დახმარება/კონსულტირებაზე გაცვლითი კონკურსების პერიოდში და შემდგომ ეტაპებზე;

2. მონაწილეობს უნივერსიტეტის მრავალმხრივი საერთაშორისო შეხვედრების ორგანიზების პროცესში;

3. მონაწილეობს უცხოელი სტუდენტების მოზიდვის აქტივობებში;

4. აწარმოებს უცხოელი სტუდენტების კონსულტირებას, უზრუნველყოფს შესაბამისი სერვისების შეთავაზებას მათთვის და ხელს უწყობს მათ ინტეგრირებას უნივერსიტეტის აკადემიურ სივრცეში;

5. ასრულებს სამსახურის უფროსის სხვა მითითებებს.

მუხლი 10. სამსახურის სპეციალისტი

სამსახურის სპეციალისტი ასრულებს სამსახურის უფროსის, მთავარი სპეციალისტისა და უფროსი სპეციალისტის დავალებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

თავი IV. დასკვნითი დებულებები

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

სამსახურის დებულების მიღების და მასში ცვლილების ან/და დამატების შეტანაში მონაწილეობს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.